საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4290
06/06/2023

4290-21-2-202306061643

შპს „ტექნო 2016“-ს
მის: სამგორის რ-ნი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქ. №8/37
ელ. ფოსტა: niko.gaphrindashvili@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4218 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფ. დარკვეთში, ჯრუჭულას ხეობაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 4[1] ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნეს ინფორმაცია საწარმოში გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესის სრული ციკლის შესახებ (ნედლეულის შეტანიდან საბოლოო პროდუქტის მიღებამდე);
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია, ასევე, „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი;
- დოკუმენტის თანახმად, „სანიაღვრე წყლები მიმართული იქნება სალექარისკენ, ან ჩაიჟონება გრუნტში.“ შესაბამისად, დასაზუსტებელია სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი;

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოში ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანისათვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ (მათ შორის, სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა, მისასვლელი გზები და სხვა.);
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საწარმოს მოწყობის ეტაპზე გამორიცხულია ბიომრავალფეროვნებაზე რაიმე ზეგავლენა.“ თუმცა, დოკუმენტში განხილულია მხოლოდ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს მოწყობის ეტაპზე ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და საჭიროების შემთხვევაში ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო